1909 წ. გამოც 6.

ფასი ყველგან 10 კ.



იუმორისტული ალმანახი

ეშეკოხეთი

ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типографія Т-ва «Шрома» для Алманаха.



უცხო სიზმარი.

,,შინაურ საქმის'' რედაქტორს
წერის დროს ჩასძინებია
და საუცხოვო სურათი
მას სიზმრათ მოსჩვენებია.

უნახავს: ,,დიდი—პატარა
დაბრუნებია ძველ წესსა,
და მრავალ-გვარი თავ-ფეხით
უმასპინძლდება ხუცებსა
მიაქვთ და მიაქვთ დოვლათი
მეუფის შესაწირათა,
ორმოც-ორმოცი ქანქარი
ჯვარის დასაწერ ქირათა.
ხაჭაპურები, ზუთხები,
ერბო და კვერცხი ბლომათა
(შეიძრო მღვდელმა ქამარი
განმზადდა გასაძღომათა),
მაგრამ დახედეთ, სატანა
იქვე ყოფილა წყეული
(ხუცებთან უყვარს ქეიფი
ჭირია შემოჩვეული.)
შეუჩდა ხუცებს, აშალა
დიაკვნები და მღვდლები
და წაუშინეს ერთმანეთს
ცხვრის თავიანი ხელები''...

გამოეღვიძა რედაქტორს,
მოწყენილს ცრემლებ ნადენსა
ფიქრობს: რას უზამს ეშმაკი
ცხვრებისა თავ-ფეხს ამდენსა''.

ხაკურთხი.

კალენდარი

1909 წლისათვის.

იანვარი.

პირველიდან—შვიდამდე. (1—7) დარი ცვალებადია. მხოლოდ თავებში ხშირი ბურუსი. სულიერი განწყობილება ცვალებადი: სიფხიზლეში დაცემული, სიმთვრალეში აღფრთოვანებული. მესამეთ მოსვლა „ივერიასი“. ამასთანავე ამოიკრება იეზუიტური ქარიშხალი კონ. თუმანიშვილისა და დაიდგმება ქართული ოპერა „ზუბრი“, ევდოშვილის მონაწილეობით. „ახალთ-ახალ“ ივერიაში ჩამოწვება სისულელეთა ზვავი ბ-ნი გვაზავასი. გაწვიმდება სიმყრალე ვ. გუნიასი. გრ. რობაქიძე პრაქტიკულათ დაასაბუთებს თავისს ლექციას „სქესისა და სიყვარულის“ შესახებ. ბათუმის ქალაქის თავი ერთი დღით მაინც ჩამოვა პეტერბურგიდან ბათუმში. დამწვარ-დამშეული გურულ-ქართლელები თფილისში ჩამოვლენ გაფლანგული ფულების საძებრათ.

რვიდან-ცამეტამდე (8—13) ტაროსი შეიცვლება, ბურუსი შეთხელდება. სიფხიზლე იმატებს და სულიერი განწყობილება დაეცემა. პ. გოთუა გამოსცემს ახალ გაზეთს „ესპერანტოს“ ენაზე. ლ. მეტრეველი კინალამ იშოვის ადგილს „დროების“ რედაქციაში ან წერა-კითხვის საზოგადოებაში. ევდოშვილი ჯვარს დაიწერს კოწია თუმანიშვილზე. მეჯვარე გვაზავა იქნება, ღვინო „საერო“, ღომი კედიასი. კიტა აბაშიძე აღმოაჩენს მეორე ვარსკვლავს ქართული პოეზიისას—გრიშაშვილს. მოსე ჯანაშვილი შეურყეველი ისტორიული საბუთებით დაამტკიცებს, რომ ქვეყნის გაჩენიდან გასულა სწორეთ 5508 წელი, 7 თვე, 3 კვირე, 2 დღე, 9 საათი 17 წუთი და $32^1/_2$ წამი. სამეურნეო საზოგადოება აღმოაჩენს საბაღოსნო სკოლის გამგის კანდიდატს. მეტეხის ციხეში ვაკანსია აღარ იქნება. ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მიწის ძვრა მოხდება. საზნაურო თეატრში ქართულ წარმოდგენებზე აკვნებით ბავშვებს აღარ შეაყვანინებენ.

თოთხმეტიდან ოცამდე (14—20) სქელი ბურუსი ისევ ჩამოწვება მოქალაქეთა თავებში. ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგისკენ გასწევს, თუ ჩამოსულია იქიდან. ერთი ქართული გაზეთი დაიხურება. გაიცემა იჯარათ ახალი სატუსაღოს აშენება. სპარსეთის შახი უკანასკნელათ გამოსცემს და უკანასკნელათვე წაიღებს კონსტიტუციას. სვიმეონ ქვარიანი ოცნებაში საფრენ მანქანას გამოიგონებს. გურიის ერთ-ერთ საზოგადოებაში ეგზეკუციას ჩააყენებენ ქურდების გაცემისათვის. ექსპროპრიატორები მოიტაცებენ ერთ-ერთ გუბერნატორს, ან გუბერნატორის ცოლს. გაიელვებს და გაჰქრება იმედი სამხედრო წესების მოხსნისა. ოსმალეთის პარლამენტი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის კრიტოსის კუნძულს და მაკედონიას. იაკობ გოგებაშვილს სიზმარში გამოეცხადება ილია ჭავჭავაძე და ეტყვის: „შენი სიზმარი აკაკის იუბილეს შესახებ ვერაფერი შვილი იყოვო“. იაკობი პოლემიკას დაუწყებს, მაგრამ ამ დროს გამოეღვიძება.

ოციდან—ოცდაშვიდამდე (20—27) დაიწყება ბურუსიანი დღეები და მთვარიანი ღამეები. პოეტი გ. გვაზავა სიტყვაკაზმულათ ასწერს საოცნებო ქოშებს ქალბატონი თ—ისას, რითაც კიტას აღტაცებაში მოიყვანს. პურიშკევიჩი დუმის სხდომაზე ბარაბანს შეიტანს. სოფ. ბულაჩაურში და ჭოპარტში აკაკის იუბილეს გადაიხდიან. აკაკი ვერ დაესწრება, რადგან ვერ გაიგებს სად არის ეგ სოფლები. თფილისის ზოგიერთა ვექილები აგენტებს გაიმრავლებენ. წერა კითხვის საზოგადოების „სასკოლო სექცია“ გახსნის ნახევარ სკოლასა და ერთ-ნახევარ სამკითხველოს. სახელმწიფო დუმა მიიღებს კანონ-პროექტს კვერცხებით ვაჭრობის შესახებ. მოსკოვის გრადონაჩალნიკს დაეკარგება ცხენი, გამოიწერენ ცნობილ ორატორს ლუკა გაბუნიას.

ოცდარვიდან—ოცდათერთმეტამდე (28—31) „დროება“ გამოიცვლება, დაიწყებს ქროლას „ჟეშმარიტ ქართული“ ქარი და მას მოჰყვება ა თოვლ-ჭყაპი. ნატო გაბუნია თვალებს ამოკაწრავს ვალერიან გუნიას. ლეჩხუმის „მიროვოი-პოსრედნიკს“ ნიკოკი თაყაიშვილს გადაიყვანენ უფრო შესაფერ ალაგას (ქუთაისის „აბანო“) და მის ნაცვლად დანიშნავენ ტიტე ართმელაძეს. თფილისის საზნაურო სკოლის მეოთხე სართულიდან გაკვეთილის დროს გადმოხტება პედაგოგი პ. სურგულაძე და არაფერსაც არ იღრძობს. ჯიხაიშელ ნიკო ჩხეიძეს აუსრულდება გულის წადილი და დანიშნავენ სამტრედიის ბოქაულის უმცროს თანაშემწეთ ან ჩოხატაურის სტრაჟნიკთა ურიადნიკათ გ. კეკელიძის მაგივრათ. სამოსამართლო პალატა შეცდომით გაამართლებს ერთ-ერთ უდანაშაულო რედაქტორს.

ეშმაკი.

* * *

ლაჟვარდ სივრცეში პირ-ბადრი მთვარე
ნელა დაცურავს შუქ მოელვარე,
მის გარეშემო ვარსკლავთა კრება
ფერხულსა უვლის, ციმციმებს, კრთება.
მთა-ბარსა ხურავს თეთრი ზეწარი,
არსად ჩანს მწვანე მდელო, ბუჩქნარი.
ყინულთ ბორკილი ადეკს ნაკადულს,
მწარეთ ბუტბუტებს, ვერ გრძნობს სიხარულს.
რაც დღისით ფეთქავს, ყველაფერს სძინავს,
მხოლოთ ნიავი წყნარათ დაფრინავს...
ნიავო! გასწი, გაშალე ფრთები,
გადაიარე ზღვები და მთები,
მონახე ჩემი ლამაზი ვარდი,
უამბე ჩემი სევდა და დარდი,
უთხარ: მისთვის კვლავ მიმგერის გული,
უმისოთ არ მსურს სიცოცხლე კრული.
დღეს თუ არ ესმის ჩემი ხმა მის ყურს,
დროებითია... ნუ გაიტეხს გულს.
წავა, გაქრება მკაცრი ზამთარი,
კვლავ აყვავდება ტურფათ მთა-ბარი,
მეც ფრთასა გავშლი, მისი ბულბული
და შემოვძახებ მთლათ აგზნებული,
დავგლეჯ ნარ-ეკალს მის გარს შემოკრულს
გულში ჩავიკრავ ტურფათ გაფურჩქნულს!

ვ. რუხაძე.

ლეძსი პროზათ

წაკითხული აკაკის დღეობაზე ქ. პეტერბურგში.

დიდო მგოსანო!

ნება მოგვეცი შენს სადიდებლათ აჩქეფებულს წრფელ გრძნობათა ზღვას ჩვენც შევუერთოთ სიხარულის და აღტაცების ანკარა წყარო...

მართალი არის, შარავანდედს შენსას ბრწყინვალეს სხივს ვერ შემატებს შორეული სუსტი ხმა ჩვენი და შეუმჩნევლათ ჩაინთქება ზოგად ღაღადში, მაგრამ დეე წასკდეს გულსა გრძნობა, გრძნობა უზაკვო და დაენთხიოს დაფნით მოსილ მგოსნის ფერხთა ქვეშ.

მაშ მოგვისმინე...

ნაზ ჩონგურს შენსას სათუთ გრძნობათგან დაგრეხილი სიმნი უბია...

მას არ ძალუძდა გაეხადა გალობის საგნათ არც მრისხანე ზღვა, დორბლიანი, ფაფარ-აყრილი, რომლის მქუხარ ზვირთთ დასტრიალებს ბოროტ სულთ გუნდი და შავ ღრუბელთა, რისხვით მოსილთ, ელვით განგმირულთ გრგვინვა და ჭექა...

არც ბუმბერაზნი, ატყორცნილნი ცის კამარაში, მედიდურნი ჭაღარა მთანი, რომელთ მწვერვალოს, თოვლ-ყინულით დაგვირგვინებულს, მხოლოთ ღრუბელი დაქათქათებს თეთრი სპეტაკი და თვით

არწივიც, ჰაერთ მეფე, ვეროდეს სწვდება.

არცა ვნებათა ქარტეხილი დაუნდობელი, გრძნობათა წარღვნა ულმობელი, ადამიანთა გულის სულის ამაოხრები...

არცა გოლგოთა, კაცთა ტანჯვის მთა შავბედითი, თხემის ადგილი ტვირთ-მძიმეთა და დამაშვრალთა...

ნაზ ჩონგურს შენსას სათუთ გრძნობათაგან დაგრეხილი სიმნი უბია და სულ სხვა არის მის ჰანგები, ტკბილნი წარმტაცნი...

მამულისადმი სიყვარული იმედიანი, ფირუზი ზეცა, კავკასიის ნაზი გუმბათი და ზურმუხტის ფრათ მოქარგული მინდორ-ველები...

ია და ვარდი, ბადრი მთვარე, ბულბულის კვნესა...

რუის რაკრაკი, სალამურის ხმა კრინმანჭული...

სევდის დოლბანდით შებურვილი მთრთოლვარე გული...

ნათელი გრძნობა ნაზ სხივოსან სიხარულისა...

მშვენიერება სიცოცხლისა რთულის, ფერადის...

ნაზი ტრფიალი და ტკბილ-მწარე ტანჯვა-ნაღველი...

ნაზი ბუნება, ნაზი გრძნობა, ნაზი ფერები...

აქ შენ მეფე ხარ ციურ ნიჭით უხვათ ცხებული და ისეთ კილოს აძლევ შენს ჩანგს, გრძნობით მიბნედილს, რომ გულის ძგერით, აღტაცებით გისმენს ყოველი...

იცი, მგოსანო?!

საოცნებო შენს სამეფოში, რომლის შვენიერ საიდუმლოს შენებრ რჩეულთა ნაზი გრძნობა მისწვდება მხოლოთ— დღეს მზადებაა!...

სხვა-და-სხვა ფერათ აყვავებულ ორ სერთა შუა...

ტურფა წალკოტი მობიბინე გადაჭიმულა...

ამ კეკლუცა წალკოტს ორათ აპობს მოუსვენარი რუი ანკარა, მუდამ ცელქი, მუდამ ცქრიალა...

სურნელოვანი ნაზი ია, მორცხვი ყვავილი და ვარდ-კოკორი უფურჩქნელი თავს დაჰხარიან რუს, ვით მიჯნურს შეყვარებულნი...

ქრელი პეპელა, იით მთვრალი, გაბრუებული ახლა ზამბახს შესკუპებია...

ბულბულს ხმა-ტკბილსა ვარდის ქება შეუწყვეტია და სხვაზე ფიქრობს გატაცებით, სულ-განაბული...

მთვარეც ნარნარი იქვე არის... მხოლოთ სერს უკან დამალულა კდემა-მოსილი და ფიფქი ღრუბლით სახეს იბანს დღეობისათვის...

ნიავი არ ქრის... ალბათ ისიც ფიქრს წაუღია და სალამური და ჩონგურიც დადუმებულან...

ყველა ესენი, სულიერნი და უსულონი დღეს მიგელიან შენ, მგოსანო, გრძნეულ აკაკის!..

რა წაგს ფეხს შესდგამ იმ წალკოტში, შენს სამეფოში, შეიფრთხიალებს მყის ყოველი და შესაფერი ქება-შესხმით შეგეგებება...

ვარდის კოკორი ჯერ იფეოქებს, გაიფურჩქნება და ზე მოგაკმევს სუნნელებას დამატკბობელსა...

და ია ნაზი, აღტაცებით დამძიმებული, თავს დაბლა დახრის: ვერ გაუძლებს ბედნიერ წამსა...

ქრელი პეპელა აფრინდება, გარს შემოგევლის და ჰაღარაზე გადმოგაფრქვევს თვის ლამაზ ფრთების ფერად ფერფლსა...

პირბადრი მთვარე განბანილი, გაბრწყინვებული სერს გადაღმიდან მორცხვათ, ნელა ამოცურდება, თავს დაგედგმება შარავანდათ და ჯადო-სხივთა ნაქსოვებში გაგხვევს თრთოლვითა...

რუი ანკარა მეტის გრძნობით აჩუხჩუხდება...

ცელქი ნიავი ტკბილ სალამურს ნაზათ ჩაბერავს და ზეციურ ხმებს მოგაგებებს სადიდებელსა...

და ჩონგური კი აწყობილი, იდუმალ თითთა სიმთ შეხებით ხოტბას გიჟღერებს...

გულ-დაკოდილი იადონი ჯერ შემოგხედავს, ტრფობის თვალით დაგაშტერდება და რა გაიძღებს გულსა ცქერით, თვალებს დახუჭავს და დაუსტვენს თავდავიწყებით...

ასე შეგხვდება ოცნებათა უცხო სამეფო შენ, თავის მეფეს გვირგვინოსანს, გრძნეულს უბადლოს...

ჩვენ კი, მგოსანო, ნუ დაგვზარხავ, თუ შენს დიდ ნიჭსა საკადრისი ვერ შევძღვნათ ქება...

მოკვდავთ სუსტ ენას განა ძალუძს, რომე ერთბაშათ გამოხატოს უკვდავი ნიჭის ღირსებანი, შვენიერება?

ნება მოგვეცი, მოვიგონოთ შენებრ მგოსანის მოსწრებულათ თქმული სიტყვები...

„სათქმელი ზღვა გვაქვს თვალ-უწვდენი, უფსკერ-უკიდო, მაგრამ არ ვიცით, რა ნაპირით, რომელი კიდით შევაცუროთ ამ ზღვაში ნავი“...

ვიცით მხოლოთ, რომ გვიხარია. .

და სიხარულით შეპყრობილნი, აღტაცებულნი ერთხმათ გილოცავთ დღესასწაულს: შენსას და ჩვენსას!

დიდება შენს ნიჭს, მომხიბლავო, ნაზო მგოსანო!

შ. შარაშიძე.



ორი ეშმაკი.

საგანგებო კრება ქ. შ. წ. კ. გ. ს.

პ. ეშმაკი. იყავ ქართულ თეატრში?

მ. ეშმაკი. თეატრში ოა მინდოდა! ზურგი არ შემითეთრებია და ისედაც დავესწარ მშვენიერ „ტრაგი-კომედიას!“

პ. ეშმაკი. მაშ სად იყავი?

მ. ეშმაკი. გეახელი, შენ ხარ ჩემი ბატონი, საგანგებო კრებაზე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საგანგებო თავის შერცხვენაზე.

პ. ეშმაკი. ვერაფერი გავიგე შენმა გაზრდამ!

მ. ეშმაკი. სულაც რომ ვერ გაიგო არც იმით დაიქცევა ქვეყანა, მაგრამ მაინც გეტყვი: გახლდი ქ. შ. წ. გ. ს. საგანგებო კრებაზე.

პ. ეშმაკი. მაინც არაფერი მესმის. ქ. შ. წ. გ. ს. ქაშვეთის წმიდა გიორგის სობოროში ხომ არ ყოფილხარ.

მ. ეშმაკი. ოოო, სწორეთ ქაშვეთის წმინდა გიორგის სობოროში, მაგრამ მწირველი ბრძანდებოდა წერა-კითხვის საზოგადოების „საქმიანი“ გამგეობა და მგალობელი ბ-ნი მაკავარიანი.

პ. ეშმაკი. ოი შენ შეგაჩვენოს ღმერთმა! ახლა გავიგე რომელ ქაშვეთშიაც ყოფილხარ! საგანგებო რა ამბავიაო?

მ. ეშმაკი. აკი გითხარი, რას იზამ, როცა მოუნდებათ საგანგებოთ თავის შერცხვენა, ჩვენს საგანგებო გამგეობას

შეუდგენია ერთი საგანგებო ინსტრუქცია თავისი საგანგებო მოქმედებისათვის და დაგვიბარა საგანგებო თათბირზე, მაგრამ განგებამ არ შეიწყნარა მათი ლოცვა-ვედრება.

პ. ეშმაკი. როგორ კაცო, ორი თვე ადგენს თორმეტი კაცი და კიდევ უვარგისი გამოდგა?

მ. ეშმაკი. რომელი უვარგისია! ერთმა დამსწრეთაგანმა ერთი მუხლი დაარღვია, მეორემ მეორე, მესამემ მესამე და ასე ბოლომდის. ასე რომ საგანგებო ინსტრუქციიდან «осталися бабушкѣ рожки да ножки!»

პ. ეშმაკი. Вотъ какъ! Вотъ какъ рожки да ножки! არა, ერთი მითხარი თუ შერცხვათ მაინც!

მ. ეშმაკი. შენგან არ მიკვირს! შერცხვათ კი არა პირ-აქეთ ედავებოდენ საზოგადოებას: ასეთი საგანგებო და შესანიშნავი ინსტრუქცია მოსკოვსა და პეტერბურგში არ მოიძებნებაო: სააზნაურო სკოლის არხი-დიაკონი პ. სურგულაძე ამბობდა: ყოველმა კაცმა დანახარჯი ენერგიით მაქსიმუმი საქმე გააკეთესო და ამისთვის საჭიროა სწორეთ ასეთი ინსტრუქციაო და აქ მხოლოდ ერთი მუხლია შემცდარიო.

პ. ეშმაკი. რავა, თუ შემცდარია, დღემდე ვერ გაასწორეთქვა?

მ. ეშმაკი. რომელი გასწორება! დაბეჭდილ ფურცლებს ინსტრუქციისას ბოლოზე ასე აქვს მიბეჭდილი: „ეს ინსტრუქცია განხილულია კომეგობის მიერ 1908 წლის ნოემბრის და დეკემბრის სხდომებზე და დამტკიცებული საზოგადო კრების მიერ 1909 წ. იანვრის „ „—“

პ. ეშმაკი. კარგი ერთი თუ ძმა ხარ! ეს არ იქნება მიწერილი. ასე სამოსამართლო პალატაც არ ადგენს განაჩენს.

მ. ეშმაკი. თუ არ იქნება აი დახედე!

პ. ეშმაკი. ოჰ, ჯოჯოხეთო!! მართლაც ეს საგანგებო კრებული ყოფილა! კაცო, გაგონილა ჯერ კრების მიერ განუხილავ ინსტრუქციას „დამტკიცებულიაო“ დაწერო? მარტო რიცხვის ჩასაწერათ დაუტოვებიათ ადგილი! რა წინდახედულნი ყოფილან!

მ. ეშმაკი. ეგ რა არის შენ უნდა გენახა როგორ შეშინდა სააზნაურო სკოლის წინამძღვარი (ა. მდივანი) როცა ერთმა ორატორთაგანმა ინსტრუქციაში გამგეობის უფლებათა დეცენტრალიზაცია დაინახა:—„რასა ბრძანებთ ბ-ნო აქ რა დეცენტრალიზაცია არის ღვთის გულისათვის ნუ იხმართ მაგ სიტყვასო.

პ. ეშმაკი. ვითომ რატომაო?

მ. ეშმაკი. რატომაო და მიტომაო!!

პ. ეშმაკი. მერე რით გათავდა საქმე?

მ. ეშმაკი. რითა და ბ-ნმა თავმჯდომარემ არც აცივა, არც აცხელა, ჩაიდო ინსტრუქცია ჯიბეში „ვხურავ კრებასო“ ჩაილაპარაკა და გამოგვიშვა შინ.

პ. ეშმაკი. რაც მართალია, მართალია, ძმაო! კრება სწორეთ საგანგებო ყოფილა.



ვისაც ყიდვა სურს მარკისა,
ფოსტისკენ მიედინება,
ვურჩევთ წაიღოს ბალიში,
ლოდინში დაეძინება.

დამპალი ჰრესა
ანუ
ნამუში სუტური პოეზიისა.
წინასიტყვაობა.

პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ ქ. ქუთაისში ახალი წლიდან იმერეთის ხუცებმა დაიწყეს კვლავ თავისი სიტყვა კაზმული მოღვაწეობა და დაუბრუნდენ „შინაური საქმეების“ გამომზევრებას. ასეთი, უკაცრავათ პასუხია, გაზეთი შარშანაც ცხვებოდა ხუცესი სიმონ მჭედლიძის სამზარეულოში, თუმცა მისი არსებობა ბევრს არავის სცოდნია. სწერდენ შიგ ყველაფერს, რაც აშკარათ ეწინააღმდეგება საღ გონიერებას და ჭეშმარიტ მეცნიერებას, მაგრამ ეს არავის გაჰკვირებია, რადგან სასულიერო წოდება ძველთაგანვე ცნობილია ჭეშმარიტების დევნაში და სიბნელის მოციქულობაში. ამ მხრით ისინი პირველი მოკავშირენი არიან ჩვენი ჯოჯოხეთისა და სირცხვილი იქნებოდა მათზე არაფერი გვეთქვა.

„დროებასთან“ კინკლაობა.

„დროებას“ დაუწერია: „ის სარწმუნოება, რომლის გარშემოც დღევანდელი ქართველი სამღვდელოება ცდილობს მრევლის მოგროვებას, ბუნებრივის თუ ხელოვნური მიზეზების გავლენით მოსპობილია, ამ სარწმუნოებას სიცოცხლის გზა უკვე მოკრილი აქვს“.

მოდი და ნუ გაცოფდება იმერეთის განმანათლებელი რედაქცია? საბუთიცა აქვს და კიდევაც აძლევს თავ-სატეხ საკითხს:

«ახლა ვკითხოთ ამ უცნაურ ფილოსოფოსს, რაზეა დამყარებული ეს სარწმუნოება და რა არის მისი შინაარსი? არ ვიცი რას გვიპასუხებს ამაზე უმაგალითო კალმოსანი!»

მართლაც ძნელი საოქმელია რას უპასუხებენ „დროებას“ ქართველი ბერები ქუთათურ ხუცებს, მაგრამ ჩვენ, ჯოჯოხეთის მოციქულებს პასუხი მზათა გვაქვს, და აი ეს პასუხიც:

დამყარებულია, ბ-ნო ჩემო, ხურჯინზე და შინაარსი მისი არის საკურთხი, ხოლო ქრისტიანობის დედა აზრიდან ისე შორსა ხართ, როგორც საღი გონიერებისაგან. თქვენ ჩვენი მრევლი ხართ! მრევლი ჯოჯოხეთისა!

რაც მართალია, მართალია!

საბუთები და სიტყვა-კაზმულობა.

რომ ჩვენ „შინაურ მოსაქმეებს“ მარ-

თლაც თხის თავ-ფეხი და სხვა ნაწილები ელანდებათ, ამას დამიმოწმებს მათი საახალწლო მილოცვა (№ 1).

პროფესორ ცაგარელს.

„მართალია, ბრძნული სიტყვა
მწიგნობრებმა შეგილახეს,
მაგრამ ჩვენ გვწამს, არ შეაწევ
თავხედობას სკვითების თ ხ ე ბ ს“.

ეს ტაეპი იმისთვის კი არ მომიყვანია, თითქო ამით ქუთათური ხუცების ლიტერატურული უზრდელობის დასაბუთება მინდოდეს, სრულიადაც არა! მე მხოლოდ მსურდა მათი თხისადმი მიდრეკილება, ანუ უკეთ ვსთქვათ, თხიური სულის კვეთება აღმენიშნა. დარვინის თეორიით, ეს მემკვიდრეობითი ნაშთია. აქ უზრდელობის გარდა მკაფიოთ გამოსჩვივის საკურთხის მოგონებათა ზე გავლენა, რაიცა უფრო აშკარათ იჩენს თავს მეორე მისალოცში და აი ეს მეორეც:

მღვდელს მელიტონ კელენჯერიძეს.

,,ნუ დაუშვებ ძირს შენ კალამს,
შეები მათ მამაცურად,
ქვეყანას რომ ატყუებენ
ფ ე ნ თ ხ ს გვაწვდიან ჩვენ რომ ც უ რ ა ტ“.

რაც მართალია, მართალია! არა მგონია, აქ ორი აზრი შეიძლებოდეს. „ფენთხის“ „ცურათ“ შეტყუება, ეს ხომ ქვეყნის დაღალატებაა!! აქ დარვინის თეორიაც არ არის საჭირო „შინაურ საქმის“ პოეტებსა და შინაურ ცხოველთა შორის კავშირის დასამყარებლათ.

ნიმუში სიტყვა-კაზმულობისა.

თხებისა და ფენთხ-ცურების გარდა კიდევ არის მარგალიტი მილოცვები „შინაურ საქმეებში“, თუნდაც „Baton“-ის სადიდებლათ, მაგრამ ახლა მოვიხსენიოთ ქართველი პოეტის მღ. მელ. კელენჯერიძის სიტყვა-კაზმულობის ნიმუში. მგოსანი ასწერს აკაკის მნიშვნელობას, ადარებს მის ენას სხვა მწერლებისას და ამბობს:

„აკაკის ენა თერგივით და რიონივით ჩქარია, ბასრია, მწველია და ცეცხლის ენასავით მომდები, ან წარმტაცი, ტკბილი თაფლიან ძირ-მწარასავით და ნაღველი. იგი სჩქეფს, დუღს მ ა ჭ ა რ ი ვ ი თ, წმინდაა სარკესავით, მოქნილი ჭანდრაკული, კლიმანტერი, თასმასავით დარბილებული, მისაგრეხ-მოსაგრეხი“.

ერთი სიტყვით, ყველაფერი შეზავებულია ამ კურთხეულ გაზეთში და ჭქენით მადლი, წაიკითხეთ ვინმემ.

ეშმაკი.

მესტვირული.

(უეშმაკეულესი მოხსენება გამგეს ჯოჯოხეთისას გურიიდან).

მივიღე შენი ფირმანი,
დიდებავ ჯოჯოხეთისა,
ვიდექ, არ დავჯექ, მსურს გითხრა
(შემძლებელიც ვარ რეთისა)
(ამბავი ჩვენი გურიის
უკეთ ვსთქვათ,—კურმუხეთისა...
ვერცა გიამბობ უკლისად
ყველა გაგონილ-ნახულსა
თუმც ვიცი დაემება
ჯოჯოხეთურსა შენს გულსა.

ის აღარ არის, წინაზე
როგორც გინახავს გურია!..
სინათლის ნაცვლად გამეფდა
წყვდიადი საამურია...
სიყვარულსა და ერთობას
თავს აზის მტრობა—შურია
გამრავლდა ყვავი, ყორანი,
ლეშით გაძღომა სწყურია:

იცნობდით ვგონებ ოთარსა,
გიგოს, ესეს და გიტოსა,
დიანოსას და მიხელას,
ნიკოს, ვანოს და დიტოსა...
აგრეთვე ჩვენი მიშაცა,
გეცოდინ-გენახსოვრება
რა რიგ კიცხავდენ ჯოჯოხეთს
სხვა რიგზე სურდათ ცხოვრება,
ბნელეთის ძალას ებრძოდენ
როგორც ნამდვილი გმირები!..
დღეს კი ოთხკეცად მოხრილან
ჩამოუყრიათ ყურები...
და პატიებას ითხოვენ
ძველათ ზურგ შესახურები.
თან აღგითქვამენ სამსახურს
ჯოჯოხეთურს და შავ-ბნელსა,
ჩვენს შავ-ფიცარზე, თითონვე
ჩასწერენ თავის საიელსა.

ეხლა ზოგ ქურუმებზედაც
მინდა გიამბო მართალი:
გასულმა წელმა ბევრ მათგანს
გამოუბრუნა სამკალი,

მასთანვე მოგეხსენებათ
ჩვენში ბანკების სტუმრობა,
იმათი პირის დაღება
აღარ შეიქნა ხუმრობა:
ზუბრების მამულ-დედული
მოურავნი და მხლებლები
ისე ჩაყლაპა ვერანმა,
ვეღარ გაივსო ფერდები.

მათ შორის ბანკა ქუთათურს
კვლავ დაუღია პირია
ქცევაო შვიდ-შვიდ მანეთად,
(ეს არ არიო ძვირია)
ალბათ მოზუბრო რაინდებს
ქანქარი მეტი სჭირია...

აჰა, რა ესე ცოდვილნი
მუხლს მოიდრეკენ თქვენს წინა,
გთხოვთ წარავლინოთ ჯოჯოხეთს
და დაუმკვიდროთ იქ ბინა,
თუ ევიწროვოთ, გასწიეთ
ჯოჯოხეთისა კედლები
ვინც დღეს გამომრჩა სიაში,
ხვალ მოგახსენო ვეცდები.

კოლომონი.

ქართველი მოდვაწეები



სვიმეონ ალ. ქვარიანი

წინასიტყვაობა.

1909 წელი, ეჰვს გარეშეა, ბედნიერი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. კიტა აბაშიძემ უკვე აღმოაჩინა ახალი ბარათაშვილი ქართული პოეზიისა და ჩვენც, შესაფერი სიამაყით გვსურს ახალ წელს და ახალ ისტორიულ გამოკვლევებს საფუძვლათ და ისეთი ტიპიური პირის მოღვაწეობა, როგორიც ბრძანდება ყველასაგან „დინჯ“ და ღრმა“ მოაზრეთ მიჩნეული სვიმეონ ქვარიანი და არა ქარიანი, როგორც ეს ბევრს კიდევ ჰგონია.

სიყრმე და სწავლა სვიმეონისა.

სიყრმე სვიმეონისა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ეკუთვნის. ჯერ ის სულ ახალგაზდა 40—45 წლის კაცია და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ ნიჭი მისი ფრთებს გაშლის და გაიფურჩქნება მამულის საკეთილდღეოთ. პირველ ლ-

წყებითი სწავლა მან ქუთაისის გემნაზიაში მიიღო და შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში გეახლათ „თავისუფალ მსმენელათ“. თავისუფლება მისი საოცნებო საგანია.

ხანა პროექტებისა
ანუ
ძუძგური სტიპენდიისა.

ოდესის უნივერსიტეტის კარიდორებში განსწავლული ჯაბუკი იმ აზრმა შეიპყრო, რომ საქართველოს მხოლოდ მეურნეობა აკლია და ყოველ კრებაზე სვიმეონი ვრცელ „პროექტებს“ ადგენდა მამულის აყვავების შესახებ და იმ აზრს ატარებდა, რომ საჭიროა საზოგადოების ხარჯით გაიგზავნოს ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა სამზღვარ-გარეთ, თუნდაც პარიზის კაფე-შანტანებში მეურნეობის შესასწავლათ. იმ დროს საქართველოში, და მით უმეტეს იმერეთში სვიმეონზე უფრო ჭკვიანი ახალგაზრდა არ მოიპოებოდა, მაგრამ ეს აშკარა „ნამიოკი“ ვერ გაიგო საზოგადოებამ და სვიმეონი თავისი ხარჯით გაემართა საფრანგეთისაკენ, სადაც დაჰყო წელი სამი.

მიბაძვა ნოესი.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა და თეორეტიული ცოდნით გონება ანთებულმა ჯაბუკმა თავის საკუთარ ეზოში დარგო ვენახი. როდესაც ნაყოფი დამწიფდა, მოჰკრიფა და დასწურა, რაიცა გამოვიდა შუმიან-ნაქაჩიან-თხლიანათ სამ ჩაფ ნახევარი. საფრანგეთში ამ წვენს სვამდენ თურმე და სვიმეონმაც დალია, რითაც პირველი მაგალითი აჩვენა ჩვენს ხალხს მეღვინეობისა. მანვე მოიგონა თხლის საპამადი და ქართულ-ფრანგული ლექსების წერა.

სამშობლო მრეწველობის აყვავება.

ჩვენში წარმოების აყვავება, სვიმეონის საოცნებო საგანს წარმოადგენდა და მორჩა რა მეღვინეობის საკითხს, თავდავიწყებით მიეცა შავ-ქვას. ეს ის დროა იყო, როცა: „ვაი შენ და შავი ქვაო“, წყევლიდან ლოცვად გადაიქცა. და მართლაც თუ კი წყევლა ლოცვად შეიცვალა, რატომ გატაცებული მეღვინე არ გარდაიქმნებოდა დალალ-მწარმოებლათ. სვიმეონი პირობით შეეკრა ერთ ბელგიელ კაპიტალისტს შენვალდს და აღუთქვა განსაზღვრულ ვადაში განსაზღვრული შავი ქვის ჩაბარება.

შენვალდის ისტორია.

. . . . . .
. . . (ეშმაკის ცენზურა) . . .
. . . . . .

„კალმით დანაწერს
დანა ამოფხეკს“.

. . . . . .
. . . (ეშმაკის ცენზურა) . . .
. . . . . .

ერთობის ხანა (1905 წ.)

ზემოთ მოყვანილი პროზა ჩვენი სასიქადულო მოღვაწის ცხოვრებიდან საჭიროთ მივიჩნიე მხოლოდ იმიტომ, რომ ამ წვრილმანებში ვხედავთ საძირკველს მისი დიადი პოეტური ნიჭისა, რომელიც უეჭველია დაიჭერს აღგილს მარჯვნივ თვით შანშიაშვილისა.

ერთობის დროს სვიმეონი უფრო ქალთა წრეში ვარჯიშობდა და ეწეოდა მოღვაწეობას. ნაზ-ფაქიზი და ზილფოვანი მისი არსება, ფშვიადი ეფიროვნობით ათრობდა ეთერთა კრებას და საუცხოო „ქათინაურებისათვის“, „ცუგრუმელა მანდილოსანთა“ კრება, ყოველთვის აღტაცებული ფშვიადით აჯილდოებდა მგოსნის მომჭირნეობას. ამით გათავდა მისი მოღვაწეობა ერთობის ხანაში.

უკიდურესი გუმანისტობა.

. . . . . .
. . . (ეშმაკის ცენზურა) . . .
. . . . . .

სვიმეონი როგორც პედაგოგი.

დაუსრულებელია სვიმეონის მოღვაწეობა. მაგრამ ადგილის უქონლობა ხელს გვიშლის სრულათ დავხატოთ მისი ბუმბერაზული არსება, ხოლო პედაგოგობას რომ არ შევეხოთ ეს კი ცოდვა იქნება.

რასაკვირველია, არსად ქვეყანაში არ მოიძებნება იმ ტიპის სკოლა, რომელშიაც სვიმეონის პედაგოგობა ასე შესაფერი ყოფილიყოს, როგორც ქუთაისის სააზნაურო სკოლაში, სადაც დასაბამითგან ქვეყნისა „ჟეშმარიტ-ქართული“ სული ტრიალებს.

მასწავლებლათ კურთხევა.

რამდენათაც ადვილია სააზნაურო სკოლიდან მასწავლებელთა გარე გამოხტომა, იმდენათ ძნელია იმის კრებულში შესვლა და სვიმეონიც ღირს იქმნა პედაგოგათ აღკვეცისა სილოვან ივერიელის ხელ-დასმითა და კურთხევით. მართალია, სვიმეონი ქართულ ენის ცოდნასთან იმ ზომ დაშორებულია, როგორც შენვალდი გახლდათ ჭიათურიდან ჟამსა სვიმეონის ჩარჩობისასა, მაგრამ მის ატესტატში მსხვილი ასოებით ეწერა ერთი და ყოვლის შემძლებელი მუხლი ნამსახურობისა, სახელდობრ: „სიძულვილი იმ ერთი მიმართულებისა“. ეს მოხდა 1907 წელს და მას შემდეგ ცნობილი პედაგოგი, როგორც გრიგოლ თფილელი, შეად გენს სახუმარო გასართობს აღნიშნულ სკოლის მოსწავლეთათვის განურჩევლად რწმენისა და წლოვანობისა.

მიცვალებულთა ექსპროპრიაცია.

ამბობენ, სვიმეონი მალე დაანებებს თავს პედაგოგობას, რადგან ბოლო დროს გამდიდრების უებარ წყაროს მიაგნოო. ქუთათური ებრაელებისათვის სვიმეონს სასამართლოში მთელი ძველი სასაფლაო მოუგია, სადაც რამდენიმე ათასი ებრაელი იქნება დამარხული მთელი ასი წლის განმავლობაში. ეს საქმე სულ უბრალოთ მოუგია სვიმეონს. მას განუცხადებია, ეს სასაფლაო ძველათ ჩემი მამა-პაპის საბალახო იყო და დღესაც იქა ვბალახობთო. მოგებული უბრალოთაა, მარა, მისი შედეგები კი დიდი და სვიმონისათვის საგულისხმიერო ექნება. ებრაელები თავიანთ მიცვალებულებს სვიმეონს არ ანებებენ და სვიმეონსაც ეს ეწნდა, რამდენადაც უნდა დააფასოს თვითო მიცვალებული—ებრაელები უკან არ დაიხევენ. ამბობენ, ქართული გემნაზიის მასწავლებლები მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როდესაც მრავალმხრივი „მოღვაწეობით“ მოქანცული სვიმეონი **ქვარიანი** უკანასკნელად გადაესვენება პედაგოგოგობიდან ნეტარ ხსენებული ჩიჩიკოვის სავარძელშიო.

ექს-ისტორიკოსი.



დაგვიანებული ძილოცვები.

აკროსტიხები სიმურზაკანის გმირთათვის.

პრაპორშჩიკობას ეტოფოდა, ეპოლეტი სურდა
მხარზე;
ებრძოდა კიდეც კრამოლას, ფიქრობდა მის აღ-
მოფხვრაზე.
ტკბილ-ტკბილ სიტყვებს არ ზოგავდა, ხალხსაც
„ევლებოდა თავზე“.
რეაქციის სიხარულით კინაღამ ავიდა ცაზე,
ეპოლეტი ვერ მიართვეს, წარადგინეს მხოლოდ
ჯვარზე.

—

მუდამ პირდაპირ ამბობდა, რომ ის არის
ხალხის მტერი;
ერთობა რომ ხელს არ აძლევს, რომ სურს
ჰყავდეს ფეხთა მტვერი.
ლაზღანდარობდა „ზემსტვოზე“ ზეციო «აზრთა»
შთანაბერი

Იხილა რა რეაქცია, დაავიწყდა ყველაფერი:
„ტემლაკები“ მოეჩვენენ დროც იყო რა შესაფერი,
Ოქუმში ვარო დასძახა „კრამოლას ძლიერი
მტერი“.
Ნახოს ქვეყანამ რომ არ ვარ მე სხვებსავით
ბრიყვი, შტერი:
Იკისრა რა „დურმიშხნობა“, მყის გაგვიხდა
„ახვიცერი“.

—

Ჯორბა ახოვანებიო, ჭკვა-გონებით პატარა!
Უსარგებლოთ დროება არც იმან ჩაატარა,
რაც ასწავლეს, უსტინოვს უგალობა წყნარ-წყნარა,
Ამ გზით ნაშოვნი ჯვარი „ეშმაკმა“ წაამწარა,
Ბოლოს თითზე იკბინა, სთქვა: «დროება წამხდარა,
Იმ წყეულმა ვასიკომ მაინც არ გამახარა».

—

Ზოგჯერ ჩემი, ზოგჯერ შენი, ზოგჯერ ეშმა-
კისაო,
Ორპირობა-ორგულობა, ხელობაა მისიაო,
Სოფელს აერჩია ერთხელ ის მამასახლისიაო,
Იმანც კარგად შეასრულა თავის „წმინდა მისსიაო“.
Მართალი და ტყუილები განაღდ-გაანისიაო.
Ეს ყმაწვილი მუდამ ასე: დღეს შენი, ხვალ სხვისიაო.

—

Მამასა და ძმას „იმასიქს“ ჯვარ-მენდლების
გულისათვის,
Ერთ სოფელს ცეცხლს „წაუმასიქს“ თავის სამ-
სახურისათვის,
Რა თქმა უნდა, არა წსაქმეს უარს არ ჰყოფს
ფულისათვის,
Ამ დღე და ღამ მზად აქვს თოფი ცხოვრებით
დატანჯულთათვის.
Ბოროტების საძირკველი, ფიქრობს, თავს სდებს
სჯულისათვის.
Იმანც კარგად დაისწავლა—რა ეთქვა მსაჯული-
სათვის.

—

Დროება გამოეცალა და გაუგეს ეშმაკური,
Შადგილოდ დაგვიტოვეს ამოუსვეს რა პანღური,
Ტყულად გაქრა, დაეკარგა «საჩუმათო» ნამსახური,
Უსირცხვილოდ დაძრწის „გალში სოფლელების
შემაცდური.

—

Ნაღლიანათ ჩანჩალებს, არც ცოცხალი, არც
მკვდარი,
Იმანც კრამოლას ბრძოლა გაუცხადა მეგარი.
Ძარგი ამოირჩია ჩინის შვენის სახსარი,—
Ობლად დარჩა, არ მისცეს არც მენდალი, არც
ჯვარი.

ვასიკო ციმბირელი.

წერილები პროვინციიდან.

დ. სამტრედია. დღემდის მთელ დუნიაზე არ იყო ისე მივიწყებული და პარტახათ დარჩენილი დაბა, როგორც ჩვენი სამტრედია. არავინ არ იყო მისი პატრონი. დღეს კი მოგვხედა ღმერთმა, გამოაცხადეს თუ არა სამტრედიაში „ბაზარი“ უნდა დაარსდესო, მოგეცათ სიცოცხლე, წამოყვეს თავი „პატრონებმა“, საიდან გინდათ, რომ არ გაჩნდენ: ქუთაისიდან ლორია და პაპავა, აქაური მელიტონ და სხვები. მოვიდენ, მარა იმისთანა მოსვლა თქვენს მტერს, შეიქნა ერთი ქიჩვა და მიწევ-მოწევა, ყველას უნდოდა ბაზარი თავის სახლში გაემართა. ამ დროს გაჩნდა მღვდელი, მაგრამ ეცა ვიღაც აფიცერი და ანაფორა სულ შემოაფხრიწა. მღვდელი გაწყრა და ასეთ შეურაცხყოფისთვის აფიცერი დუელში გამოიწვია. დუელი მოხდა, დაიჭრა მღვდელი. ამ სამწუხარო ამბის შემდეგ ცოტათი დამშვიდდენ და აირჩიეს ასისტენტები, რომ ფარული კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო საბაზრო ადგილის დანიშვნა. აქ კი თავი ისახელა მელიტონმა როგორც ასისტენტი, ის ყველას უთითებდა ყუთზე და ეუბნებოდა: ამ ყუთში ჩააგდე კენჭი, მღვდელს და სხვებს რას უყურებ, ის ვიღაც მატყუარა არის და შენი დაღუპვა უნდაო. ამ გვარათ მელიტონმა ბევრს ძალა დაატანა და იმ ყუთში ჩააგდებია კენჭი, რომელიც მას უნდოდა.

— აქ, ზოგიერთი პირები უკვე შეუდგენ ფულების შეგროვებას, რომ მომავალ სეზონისთვის უმაღლესს სასწავლებელში გაგზავნონ სადგურის თანაშემწე. თანაშემწე კი უარზე დგას, რადგან მას აქ უნდა დარჩენა და ტაბიძის და პაპავის დუქანში კურსის დასრულება!.

— ჯერ-ჯერობით აქ დაითხოვეს ერთი მოსამსახურე ბ. «მიუის» წყალობით.

Точно такъ.

—

ჭიათურა.

სამტროთ შეუკრავს ბუნებას პირი
შეუბრალებლად გრიალებს ქარი,
ყველა გაურბის სასტიკ ქარიშხალს
რომ დროზე ნახოს თავ-შესაფარი.
ეს ვინღა არის! აგერ ბაქნის წინ
შავი სვეტივით რომ ამართულა?
სჩანს მას სიცივის არ ეშინია
და ღრმა ფიქრებში იგი გართულა!!
ეს მუშა არის, ვაგონის მუშა!
მან თვის ცხოვრება წარმოიდგინა,
და უბედურმა მომავლის ფიქრში
ნიჩაბის ტარზე ჩამოიძინა“!!
გუშინ მთელი დღე უსაქმოდ იყო,
სხვა უმუშევრებს უკანა სდევდა,
ვერ პოვა საქმე... დარჩა მშიერი!!
და გულზე მწარეთ მოაწვა სევდა!!
დღეს შობა არის!.. შეძლებულები
თბილათა სხედან, ყველა ლხინშია,
ეს კი ბედ-შავი ნიჩაბით ხელში
დღიური ლუკმის მოლოდინშია!!

ითნა თლუდელი.

—

ს. ოთქვითი. მოახლოვდა საამხანაგო დუქნის გახსნის დრო და ვაჭრებმაც გაუსვეს ხელი „დურმიშხანულს“. ჩვენი სასოფლო ბქნკი რედაქცია გეგონება კაცს ისეა ლუქით ჩაბეჭდილ-ჩაწითლებული; მალე ლიკვიდაცია მოხდება. ამბობენ თითო წევრს 300 ქანქარი მოგება დარჩებაო.

საყულია. მდინარე რიონისაგან დატოვებულ რიყეს, რომელიც „კრივით“ დაინარჩუნა ვასილ აბაშიძემ, საახალწლოთ ისევ უბრუნებს სოფელს საჩუქრათ.

ძლიერ სეჭიროა გამოცდილი ტოლუმბაში, დაბელოვნებული კარტ-ნარდის მოთამაშე და ძვირი რეცეპტების გამომწერი ფერშალი. ვთხოვთ ეშმაკს ვინმეზე მიგვიჩიოთოს*)

ბაში. გზები ისე გაუმჯობესეს, რომ ახალი წლიდან ავტომობილები იწყებენ მიმოსვლას ქუთაისამდე. აქაური სკოლა ცალკე აპირებს აკაკის იუბილეს გადახდას, თუ რომელიმე მოცლილმა მოკრივემ არ დაუშალა.

[Sali.

---

*) ვისაც მე ვიცნობ (და ვიცნობ მრავალს!) ყველანი სამსახურში არიან. ეშმაკი.

სცენა ქუთაისის მოეინულ ქუჩებზე.





სცენა წარმოადგენს მთავარ ანგელოზის წინ სასეირნო ქვაფენილს.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

— კაცო, რა დაემართა იმ ვაჟარ ჯიბიანიძესა?

— არაფერი... გადაირია და თავი გაკოტრებულათ გამოაცხადა.

— კარგი, მაგრამ მევალეებს გაუსწორდა?

— რას ამბობ კაცო? მართლა არც ისე ძალიან გადარეულა.

—

ერთხელ დიდებული შაჰის თავს გზა დაბნეული მუზა ეწვია და აღფრთოვანებულმა მბრძანებელმა ლექსი წარმოშვა.

წამსვე დაიბარეს მგოსანი შახის პოეზიის დასაფასებლათ. პოეტი უგუნებოთ იყო და ლექსი აძაგა.

განრისხდა შახი!

— „შენ ვირი ხარ და ვირს რა გაეგება პოეზიისა! წაიყვანეთ ეს სახედარი და საჯინიბეში ბაგაზე დააბითო“ ბრძანა ირანის ვარსკვლავმა და ბრძანება მისი მყისვე ასრულებულ იქმნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მზეს აღმოსავლეთისას კიდევ მოექავა ქოჩორი პოეზიისა და კვალად წარმოშვა ლექსი უბადრუკი. კვლავ მოიწვიეს განრისხული მგოსანი, მაგრამ აღარ დაუცადა ლექსის დაბოლოვებას, მობრუნდა და წავიდა.

საით მიეჩქარები, შვილო ჩემო? შეეკითხა შახი.

— საჯინიბოსაკენ ჩემო ბრძანებელო!

ქარხნების მუშები.

ჰაი გიდი ერთობავ!
საითკენ მიგვეფარე?
ეგრე ანაზდეულათ,
უეცრათ გაგვეპარე!
რვა საათი გვინდოდა,
ცხრასაც არ გვაკმარებენ!
მუხრუჭი მოგვიჭირეს,
სიცოცხლეს გვიმწარებენ!
თუ სიმართლე წარმოვსთქვი,
ციმბირს მიგვამგზავრებენ,
გვერდებს შეგვიზელავენ
და თანაც გვაჯავრებენ:
„ბატონი“ არ გინდოდათ?
ჰა, თქვე „კრამოლნიკებო.“
ესეც თქვენი ერთობა!
ბრიყვო „ბუნტოვჩიკებო!..“
ეჰ. თუ ღმერთმა გვაღირსა,
დაგვიბრუნდა ერთობა,
ვნახოთ იმ მათრახებით,
მაშინ ვინ გაერთობა!..

მ. ლელაშვილი.

უცხო სიტყვების ახსნა.

(იხ. ალმანახი № 5)

დივიდენდი—,,გეორგიას'' გამონაწური.
დოკტორი—ავთმყოფის ჯიბის თაგვი,
დრუნცი—ტანათ წერ-წეტი და ნარნარი არსება.
ემგლემა—ყანწი, თარი, დაფა-ზურნა. და ხმალ-ხანჯალი.
ეშხი—უშნოთ ღლაბუცი.
ერბო—პოლიტიკური ერბო, პოლიციელთა მიერ მოხდილი.
ვარდენ—,,ქართული რკინისგზის'' დელიყანდი.
ვაძსი—საუკეთესო წამალი შერცხვენილ სახის გასაწმენდათ.
ვატმანი—კონკის ,,პარავოზი''.
ზარმაცი—ქართველი ინტელიგენტი.
ზურნა—სამშობლოს სიყვარული.
ზურგი—პოლიციელთა სავარჯიშო საგანი.
ზმუკი—ღვთის წყალობა.
თავადი—მეოცე საუკუნის ინკვიზიტორი, გლეხების შოლტი.
ირონდი—ღვინოში მოხარშული პოეზია.
იხტიბარი—გაიაფებული საქონელი.
,,**ივერია**''—ცოცხალი მიცვალებული.
კაპიტანი—პოლიტიკური მათრახი.
კამფეტი—მთავრობის კანონ-პროექტები.
კალამი—საწრიპინა.
კუნცხვა—სცენაზე თამაში.
კუთვა—საამდროვო სიმღერა.
კვნესა—რუსული ჰანგი.
კუპატი—გაზეთი ,,ივერია''.
ლიკლიკი—დიდებული რეჩი.
ლათაიები—ქართული პოლემიკა.
ლევანი-მტევანი—გვაზაური პოეზია.
ლექსი—დახურდავებული საქონელი.
მუსიკა—პუროშკევიჩის სვისტოკი.

(შემდეგი იქნება)

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „ზრომა“ რუსის ქ. № 3.

გამომცემელი **მელიტონ ნოდია.**